№ 222

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 6 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 7 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 222

ხუთშაბათი, 12 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

თავადი კონსტანტინე მალაქიას ძე და კნეინა ანასტასია გიორგის ასული გურიელნი, აცნობებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, რომ წლის გამოთხოვება ასულის მათის კნიაჟნა

ელენე კონსტანტინეს ასულის გურიელისა

დანიშნულია თოთხმეტს მომავალს ოქტომბრისათვის, სთხოვენ მობრძანდნენ სასაფლაოზედ ს. შემოქმედს უკანასკნელ გამოთხოვებისათვის. (3—3)

ქართველ ქალთა

სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

ადრესი: ბარონის ქუჩა, № 12.

აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—ცხვირსახოცები, შარფები, თეთრი და ფერადი ქსოვილები ქალისა და კაცის ტანისამოსისათვის როგორც საპირე, ისე სარჩულები. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—35) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. გეზირგანოვი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. გეგთაგეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოგოლოვი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ე. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. თ. პროტასევიჩი—5—6 საათამდე.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

დაბა სამტრედიაში

მკურნალი

ვასილ გიორგის ძე

წერეთელი

ამ წლის ოქტომბრის 17-დგან მიიღებს ავადმყოფებს სამკურნალოდ.

სკოლა და პანსიონი

ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ბავშვებს სხვა-და-სხვა სასწავლებლისათვის.

ოლგის ქუჩა (Ольгинская), სახლი დოლიძევისა, (10—188—9)

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი ბ-ნი სვეჩინი სამსახურის საქმეთა გამო ბორჩალოს მაზრაში წავიდა.

*** ცნობილი საქმე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების მოხელის ორჯონიკიძისა და სხვათა, რომელთაც სახელმწიფო ბანკის განყოფილების იგდირის ხაზინაში გასაგზავნ 50,000 მანეთის მოპარვა და გაფლანგვა ჰბრალდებათ, დანიშნულია განსახილველად ტფილისის ოლქის სასამართლოში სამშაბათს, 24 ოქტომბრისათვის.

*** დღეს, 12 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელზედაც განხილულ იქმნება სულ 6 საქმე.

*** საგუბერნიო ბეითალი ბ-ნი მაკაროვი ახალქალაქის მაზრაში წავიდა, რომ ადგილობრივ გაჩენილ საქონლის ჭირის წინააღმდეგ რაიმე ღონისძიებანი იხმაროს.

*** ქალაქის საბჭოს დადგენილებით ნახშირის წონით ყიდვა ამიერიდგან ყველასათვის სავალდებულოა: როგორც ტფილისელ მენახშირეებისა, აგრეთვე იმათთათვის, რომლებსაც სოფლიდგან ჩამოაქვთ ურმებითა და ქუჩა-ქუჩა ჰყიდიან. სოფლიდგან ჩამოტანილს ნახშირს ქალაქის სასწორზედ აწონვენ და იქვე დააკრავენ ქაღალდს, რომელი ტომარა რამდენს იწონს და მხოლოდ შემდეგ შეუძლიანთ ასე წონადადებული ტომრებითა ჰყიდონ ნახშირი.

*** კავკასიის საბეითალო ნაწილის სამმართველო ამ ჟამად იმის ზრუნვაშია, რომ საბეითალო საპოლიციო მეთვალყურეობა როგორმე გააუმჯობესოს კავკასიაში.

*** ქუთაისის გუბერნიის კერძო მემამულეებს, რომლებსაც მუხის ტყეები აქვთ, განზრახვა თურმე აქვთ ამხანაგობა შეადგინონ, რომელსაც აზრად ექმნება ხე-ტყე პირდაპირ საზღვარ-გარეთ გაიტანოს და იქა ჰყიდოს.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს შუამდგომლობისა თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ნება დაურთავს, რომ ქალაქის სასარგებლოდ ტფილისში ძაღლებზედ თითო მანეთი გარდასახადი იქმნეს შემოღებული, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ არსებულ საგნის შესახებ საზოგადო წესები სასტიკად იქმნეს დაცული.

*** როგორც გაზ. „Нов. Об."-ს სწერენ ქუთაისიდგან, იქ მომხმარებელი საზოგადოება შემდგარა, რომელსაც აზრად თურმე აქვს თავისს წევრებს საუკეთესო ღირსების გამომცხვარი პური აძლიოს იაფ-ფასად, რამდენადაც-კი ეს შესაძლებელი იქმნება. წევრობა, წოდებისა და სქესის განურჩევლად, ყველას შეუძლიან და უნდა გადიხადოს სულ 5 მანეთიო.

*** იმავე გაზეთსა სწერენ ონიდგან, რომ იქ წრეულ სიმინდის მოსავალი საშუალოზედ მეტი ყოფილა, პურისა—ნაკლები და ყურძენი სრულიად არ დამწიფებულა. ამის გამო ღვინო მეტად მდარე იქნებაო.

*** 15-ს ოქტომბერს, კვირა დილით, ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის" ქარხანაში სამინისტროსაგან დამტკიცებული წესდება იქმნება წაკითხული, რომელსაც სასურველია ამხანაგობის ყველა წევრი დაესწროს.

*** როგორც შევიტყვეთ, ხარფუხის პირველ დაწყებითი საქალაქო სასწავლებლისათვის დაქირავებული შენობა უკვე მზადაა, რომელსაც, როგორც გადმოგვცეს, აკურთხებენ 21 ამა ოქტომბერს.

*** სამშაბათს, 10 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე დუშეთის მაზრის სოფელ ერედის მცხოვრების სიმონ აღდომელას ძის ბეგოიძისა, რომელსაც თავისისავე სოფლის მცხოვრების გიორგი ზაქაიძის თავში ხანჯლით დაჭრა ჰბრალდებოდა. პირველად ეს საქმე განუხილავს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესსიას, დამნაშავედ უცვნია ბეგოიძე, რომლისთვისაც გარდაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლით გაგზავნა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

ამავე დღეს სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე დუშეთის მაზრის სოფელ ტოტიაურთ კარის მცხოვრების ვანო გლახუას ძის კოხტაშვილისა; კოხტაშვილს ედებოდა ის ბრალი, რომ მან 1898 წლის ოქტომბერს დანა ჩასცა გულში თავის მეზობელს ქიტო სისაურს. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც კოხტაშვილი დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა 8 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

## სამართლიანი კრიტიკაც ასეთი უნდა

(ბ-ნ მახარაძის პასუხად *).

არავითარი უსამართლობა ისე არ შეაწუხებს და აალელვებს ადამიანს, როგორც ბოროტის, დაბალის გრძნობით გამოწვეული, წინ-და-წინ ვისმეს საწინააღმდეგოდ გამოანგარიშებული, ტენდენციური მსჯელობა რომელსამე საგანზედ. ხშირად მოხდება, რომ ორი მოწინააღმდეგე დასის წარმომადგენელნი დედა-აზრით ვერ იტანენ ერთი-მეორის შეხედულებას, უპატივცემულოდ ეპყრობიან ერთი მეორის მსჯელობას, მოქმედებას, მაგრამ ეს კიდევ მოსათმენია, რადგანაც ადამიანი მგრძნობიერია: რამდენადაც მეტად სწამს მას თავისი აზრების სიმართლე, იმდენად მოწინააღმდეგეა ის ყოველისავე მისის აზრის დამარღვეველ მოსაზრებისა.

არავის დანაშაულად არ ჩაეთვლება განსაკუთრებულ თავისებურ, თუ გინდ მეცნიერულ აზრის საწინააღმდეგო მიმართულების მიმდევრობა; მხოლოდ ყოველ პატიოსან, სინდისიერ კაცის მოვალეობაა თავისის აზრის დაუფარაობა, პირდაპირ მოქმედება.

თუ ვინმე თავისს მიმართულების, ან აზრის დასაცველად „ხრიკულ", ფლიდურ, ორპირულ საშუალებას ხმარობს და პირდაპირ, გულ-ახდილად-კი ვერა ჰბედავს, რაც უნდა, იმის თქმას, ის გონიერ და მგრძნობიერ ადამიანისაგან ზიზღის მეტს ვერავითარ თანაგრძნობას ვერ გამოიწვევს. ეს ფიქრები ძალა-უნებურად დამებადა თავში, როდესაც „კვალის" მე-33 №-ში ბ-ნ მახარაძის წერილს ვკითხულობდი „ოზურგეთის ქალაქის თვით-მმართველობის" შესახებ. ბ-ნს მახარაძეს წინდაწინ საგნად აუღია ჩემი გალანძღვა, ოზურგეთის თვით-მმართველობის მოღვაწეობის

*) ეს წერილი და ამ წერილში მოხსენებული, ჯეროვანად შემოწმებული საბუთის ქაღალდები დიდი ხანია მივიღეთ ბ-ნ ნ. თავდგირიძისაგან, მაგრამ მოუხერხებლად მივიჩნიეთ მისი დაბეჭდვა, რადგან ჯერ დამთავრებული არა ჰქონდა „კვალში" ბ-ნს ფ. მახარაძეს თავისი წერილები ოზურგეთის თვით-მმართველობის შესახებ. ეხლა, როდესაც ოზურგეთის თვით-მმართველობის უცნაურმა ბრალმდებელმა უკვე დაასრულა თავისი საბრალმდებლო წერილი, ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა იმ აზრისანი ვართ, რომ კუზიანს სამარის მეტი ვერა გაასწორებს რა. რედ.

გაქილვა-დამცირება, მცხოვრებთა უმრავლესობის მავნებლად დასახვით, რადგანაც, როგორც ავტორი ამტკიცებს, „ოზურგეთის თვით-მმართველობაზედ საუბარი — თავდგირიძეზედ საუბარიაო“. მართლაც ბ-ნი მახარაძე საკმაოდ კარგად ასრულებს ამ, მისგან წინდაწინ განზრახულ, შრომის გეგმას.

საიდგანღაც ამოუკრეფია ქალაქ ოზურგეთის შემოსავალ-გასავლის რიცხვები 7 წლის განმავლობაში, რომლიდგანაც სამის წლისა ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც ქალაქის საქმეებს პოლიცია განაგებდა, და ოთხის წლისა — თვით-მმართველობის განკარგულების დროს. მაგრამ, რადგანაც თვით-მმართველობის დროის შემოსავალ-გასავალი შეცდომებით არის ნაჩვენები, ამიტომ საჭიროდ ვთვლი ამოვიწერო ეს ციფრები დამტკიცებულ ყოველ წლიურ ხარჯთ-აღრიცხვის დავთრიდგან.

| პოლიციის დროს | | | თვით მართველობის დროს | | მახარაძის ციფრები |
|---|---|---|---|---|---|
| | შემოსავალი | | შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი | | |
| | მ. | კ. | წ. | | მ. კ. |
| 1893 | 3.227 | 67 | 1897 | 7146—*) | 5.838 59*) |
| 1894 | 3.382 | 34 | 1898 | 7329—*) | 5 848 84*) |
| 1895 | 3.772 | 36 | 1899 | 11002—6*) | 6.773 95 |
| | | | 1900 | 12550—**) | 9.285 8 |

| პოლიციის დროს | | თვით-მმართველობის დროს | | მახარაძის ციფრები |
|---|---|---|---|---|
| წ. | გ ა | ს ა | ვ ა | ლ ი |
| | მ. კ. | | | |
| 1893 | 4.083—35 | 1897 | 7.115—92 | 6.153—27 |
| 1894 | 3.426—12 | —98 | 7.3?9—— | 6.799—76 |
| 1895 | 3.3?0—19 | —99 | 10.901—6 | 6.761—71 |
| | | 1900 | 12.547—3**) | 9.192—27**) |

ამავე კომისსიის ოქმში სწერია, რომ პირველ იანვარს 1898 წ. ასეთივე მორჩენილი ფული ყოფილა — 921 მ. 13 კ. (ამის დასამტკიცებელ საბუთებს ამ წერილთან ერთად ვგზავნი რედაქციაში). ერთი ვიკითხოთ: თუ კასსაში ზედ-მეტი ფული რჩება, დეფიციტი რასა ჰქვიან?! მართალია, ქალაქის უძრავ მამულებიდგან „ნედოიმკები“ ცოტა იკრიფებოდა საანგარიშო წლის განმავლობაში, მაგრამ რაკი ქალაქის ყოველ ადგილობრივ საჭიროების დასაკმაყოფილებელი ხარჯი შემოდიოდა, რა დაშავდა, რომ „ნედოიმკები“ ერთბაშად არ შეიკრიბა. კი არ დაშავდა, გაკეთდა კიდეც, რადგანაც ხაზინის ვალი შემდეგში აპატიეს ქალაქს.

თუმცა თითონ ავტორიც ვერ ჰფარავა, რომ ქ. ოზურგეთის შემოსავალი 4 წლის განმავლობაში 3778 მანეთიდგან ასულა — 9.285, ე. ი. უმატნია 5507 მ. ანუ 146%, მაგრამ ამ მოვლენას აქარწყლებს შემდეგის მოსაზრებით: „რადგანაც ოზურგეთს თვით-მართველობის შემოღების შემდეგ შემოსავლის ახალი წყარო არ გაჩენია და მიუხედავად ამისა შემოსავალი კი ერთი ორად და ერთი სამად გადიდდა, ეს მხოლოდ იმას მოასწავებს, რომ დღეს ერთი ორად და ერთი სიმად მეტი ერთმევათ ხარჯის გადამხდელთ, ვინემ ამ ხუთი წლის წინედ“.

ბ-ნ მახარაძის სიტყვიდგან ის გამოდის, რომ ოზურგეთის თვით მართველობის შემოღების შემდეგ ვითომ ოზურგეთის მცხოვრებთ გადასახადი მოჰმატებიათ, ახალი ხარკი დასდებიათ; რატომ ერთი მაგალითი არ მოიყვანა ავტორმა სად, როდის, როგორი გადასახადი მოუმატა, ან შემოიღო ახალმა თვით-მართველობამ?! საქმეც ის არის, რომ ახალ თვით-მართველობას არა თუ ახალი გადასახადი არ შემოუღია, არსებულისთვისაც არ მოუმატნია.

 აი საბუთები:

| წ. | პოლიციის დროს. | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 1895 | 8% გადასახადი ქალაქის უძრავ მამულებისაგან . . . . | 1300 *) | 68 |
| | 15% ₰ 10% გარდასახადი სავაჭრო მოწმობებიდგან . . | 966 | |
| | დუქნებზედ გაწერილი გარდასახადი. . | 400 | |
| 1895 | საიჯარო შემოსავალი | 773* | *) |

| წ. | თვით-მართველობის | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 1897 | 8% გარდასახადი ქალაქის უძრავ მამულებისაგან . . . . | 2500 | *) |
| 1897 | 15% ₰ 10% გარდასახადი სავაჭრო მოწმობებისაგან . . | 1300 | **) |
| | დუქნებზედ გაწერილი. . . . . . . . | 400 | |
| 1897 | სხვა და სხვა საიჯარო შემოსავალი. . | 1646 | **) |
| 1898 | . . . . . . . . | 1747 | |

პოლიციის დროს არსებობდა რვა პროცენტიანი გარდასახადი უძრავ მამულების შემოსავალზედ (ქალაქს 10%-მდე აქვს ნება), თვით-მართველობის დროსაც დარჩა შეუცვლელად იგივე 8%-ანი მამულების შემოსავალი. თუ პოლიციის დროს 8%-ანი შემოსავალი იძლეოდა 1300 მ ნ. და თვით-მართველობის დროს 2500 მ.-ეს, ეს გარდასახადის მომატების ბრალი კი არ არის, არამედ ახალის შეფასებისა და მამულების რიცხვის ჯეროვან ცნობაში მოყვანისა: თვით-მართველობის შემოღებამდე ათის წლის განმავლობაში ქალაქის მამულების შეფასება არ ყოფილა, ამ ათის წლის განმავლობაში ორასი ახ ლი სახლი მაინც მოემატებოდა ქალაქს. თუ ბ ნ მახარაძის და ამხ. გამოკვლევით წელიწადში ასი ათასობით მრავლდება ქალაქებში ქართველ მუშების რიცხვი, ნუ თუ ათის წლის განმავლობაში 200 სახლი არ აშენდებოდა ოზურგეთში!? ამას გარდა პოლიციის დროს მამულების შეფასება არ იყო დ მყარებული არავითარ წინ და წინ შემუშავებულ წეს-რიგზედ. როგორც უნდოდათ დანიშნულ კაცებს, ისე აფასებდნენ სახლებს; ამნაირად ბევრი უსამართლობა არსებობდა; თვით მართველობამ-კი დამფასებლებს წარუდგინა შემუშავებული წეს-რიგი შემოსავლის გამოსაანგარიშებლად, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობდნენ. იქნება ბ ნ მახარაძეს უფრო სამართლიანად მიაჩნია ის, რომ საერთო გარდასახადს ზოგნი იხდიდნენ და ზოგნი შეძლებულნი ქურდულად გაურბოდნენ?!

მეორე მოსაზრება, რომლითაც ბ-ნი მახარაძე ამცირებს ოზურგეთის თვით-მმართველობის მოღვაწეობის მნიშვნელობას, ის არის, რომ ვითომ თვით-მმართველობის დროს ხარჯს შედარებით შემოსავალთან შესამჩნევად უმატნია. განსაკუთრებით უთითებს მკითხველს ავტორი იმ გარემოებაზედ, რომ გასავლის უმთავრესს ნაწილს შეადგენს თვით მმართველობის შენახვის ხარჯი, მაშინ, როდესაც, მისის აზრით, ქალაქის საჭიროებათა დაკმაყოფილება მოძულებულიაო. მართალია-კი ეს? სამართლიანობა მოითხოვდა, რაკი პოლიციის დროის შემოსავალ-გასავლის ცნობები მოიყვანა ავტორმა, ისიც ეცნობებინა, თუ მაშინ როგორ იყოფოდა ქალაქის ხარჯი. ავტორს თავისის ორ-აზროვანის ციფრებით თითქოს იმის დამტკიცება ჰსურს, რომ პოლიციის დროს ქალაქის მდგომარეობა უკეთესი იყოო.

ვნახოთ საბუთები რას გვეუბნება:

პ ო ლ ი ც ი ი ს დ რ ო ს:

| წ. | გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1895 | პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს | 520 | *) |
| | ქალაქის პოლიციის დარაჯებს . . | 755 | |
| | საერთოდ „კავკაზიის პოლიციის ხარჯის გასაძლიერებლად“ . . | 848 | 69**) |
| | ქალაქის ბოქაულის კანცელარიის ხარჯად . . . | 120 | *) |
| | ამავ ბოქაულის მოსამსახურეებს . . | 240 | *) |
| | ქალაქის პოლიციის ბინა, განათება-გათბობა . . . | 165 | |
| | ქალაქის ფულების მთვლელს . . | 15 | *) |

თვით-მმართველობის დროს:

| წ. | გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| 1899 | ქალაქის თვით-მმართველობის შენახვა | 2555 | ***) |
| | ქალაქის გარეგანი მოწყობილების ხარჯი . . . . | 1779 | 55*4) |
| | ქალაქის მცხოვრებთა სამკურნალო საჭიროების დასაკმაყოფილებლად | 800 | *4) |
| | პირველ დაწყებითი სწავლის და სამკითხველოს შესაწევად . . . | 260 | *4) |
| | უპატრონო ბავშვების შესანახავად | 150 | |
| | ცეცხლის მქრობელი საშუალები სათვის . . . | 200 | |
| | სხვა მოულოდნელი წვრილმანი ხარჯი ქალაქის საჭიროებაზედ . . | 179 | |

რამდენჯერმე ვთქვი, რომ „კვალის“ თანამშრომლების საპასუხოდ არავითარი წერილი არ დავწერო, მაგრამ ისეთს უსამართლობას სჩადიან, რომ ძნელია მოთმენა. აი, მაგალითად, როგორც ეხლა: ვინც მიცნობს, შორიდგან მაინც, ყველამ იცის, რომ მე არავითარი პირადი სარგებლობა არა მაქვს ქ. ოზურგეთში სამსახურით; შეიძლება სხვისათვის, ჩემნაირისავე ახალგაზდა კაცისათვის, სასარგებლოც იყოს ჩემი ეხლანდელი ადგილი, მაგრამ მე ჩემის ხასიათით და ძალა-უნებურის ჩვეულებით ვერავითარ პირად სარგებლობას ვერ ვხედავ ჩემის ეხლანდელ თანამდებობისაგან, ზარალის მეტს. სჩანს, მხოლოდ საზოგადო საქმის ერთგულებისათვის, საზოგადოების წინაშე ზნეობრივი მოვალეობის ასრულებისათვის შევჩერებივარ ამ ადგილს: თუ კი ვინმე კეთილს მირჩევს რასმე, დამარიგებს — მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრა; მაგრამ ისეთი კრიტიკა, რომელიც გასასწორებელ მაგალითს ვერ დაგისახავს, გიწუნებს მოქმედებას და უკეთესი საშუალება რა არის, ვერ აგიხსნის, — ვერავითარს სარგებლობას ვერ მოგიტანს. რა უნდა ექმნა ჩემს მდგომარეობაში სხვას, გამოცდილს, ცხოვრების მოთხოვნილების გამგებ ადამიანს? ამის პ სუხს ჩვენი მასწავლებელი ბ-ნი მახარაძეც ვერ იძლევა. რა დაშავა, რაში შესცდა, რა ვერ შეასრულა ოზურგეთის თვით-მმართველობამ, ამასაც ვერ გვიხსნის ავტორი! მაშ რა აზრით სწერდა ბ-ნი მახარაძე თავისს, ვითომ-და დასაბუთებულს, წერილს ოზურგეთის თვით-მმართველობის შესახებ? ეს თითონ ავტორმაც არ უნდა იცოდეს.

მაგნაირი წერილების ერთად-ერთი აზრია დამცირება, შეუბრალებელ და უსამართლო კრიტიკის ქარცეცხლში გატარება ყოველისავე ასეთი საზოგადო მოღვაწის მოქმედებისა, რომელიც ერთგვარის დასის ჯგუფს არ ეკუთვნის: მათის წრის კაცი, რაც უნდა ნაკლულევანებით სავსე იყოს, მაინც რომის პაპაა; მო-

---

*) საიდგან ამოიწერა ავტორმა ეს შემოსავალ-გასავლის ციფრები: ქალაქის ყოველწლიურ ხარჯთ-აღრიცხვას ის არ ეთანხმება. თუ ბ-ნი მახარაძე ემყარება მხოლოდ საანგარიშო კომისსიის ციფრებს, მაშინ სამართლიანობა მოითხოვდა არაფერი დაეფარა და ისიც მოეხსენებინა, რომ კომისსიის ოქმში, რომელიც შედგენილია 1899 წ. 20 მაისს, სწერია: „1 იანვარს 1897 წ. მორჩენილი ფული ყოფილა ქალაქის კასსაში — 1234 მ. 81 კ. (ამასთან ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ პოლიციისგან ქალაქის ქონების მიღების დროს 19 სექტემბერს 1896 წ. მხოლოდ 38 მ. 21 კ. ნაღდი ფული ჰქონდა თვით-მმართველობას.)

**) თუმცა გუბერნიის მართველობამ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა შეამცირა, მაგრამ, მე მგონია, არც ერთი სამართლიანი მწერალი მარტო ადმინისტრაციის შეხედულობით არ იხელმძღვანელებს ქალაქის საქმეების დროს. გუბერნიის საკრებულომ არ მიიღო „ნედოიმკები“ (4 ათასი მანეთი) სახაზინო ვალის გასასტუმრებელ საწინდრად, ამიტომ სულ გამორიცხა ხარჯთ-აღრიცხვიდგან, რომ სხვა, უფრო საიმედო წყაროდგან აელოთ ხაზინის ვალი, რომელიც ეხლა უკვე ნაპატიებია. ამ წესით, ჩვენის აზრით, ნაღდი შემოსავალი ქალაქს არ ეკარგება.

**) ერთი და იგივე შემოსავალი: 15%, 10% სავაჭრო მოწმობებიდგან და საიჯარო საგნებიდგან პოლიციის დროს იძლევა ნაკლებს, ვიდრე თვით-მმართველობის ხელში, როგორ მოხდა ეს? ამას მხოლოდ ცხოვრების ნიადაგს მოცილებული, აზრ-დაბნეული „ფილოსოფოსი“ ვერ მიხვდება.

*) ქალაქის პოლიციის ბოქაულის თანაშემწის ხარჯი 520 მანეთი, ბოქაულის კანცელარიას 135 მანეთი და მისთვისვე მოსამსახურეებისა — 240 მანეთი მოსპობილია 1898 წლიდგან თვით-მმართველობის შუამდგომლობით.

**) 848 მ. 69 კ. — ხარჯი („на усиленіе средствъ закавказской полиціи) თვით-მმართველობის შემოღების პირველ დღეებიდგან ფაქტიურად მოსპობილია: გამგეობა იმას არას გზით არ იხდიდა და უჩვენებდა გუბერნიის მმართველთ თვით-მართველობის შესანახავ ხარჯად ოფიციალურად ყოველივე ეს გარდასახადი, უკანასკნელ წლამდე შემდგარ „ნედოიმკებით“ მოსპობილ იქმნა გამგეობის განსაკუთრებულის მეცადინეობით 1900 წელს. ბ-ნ მახარაძის შენიშვნით ეს მოვლენა თავის თავად მოხდა; თითქოს თვით-მართველობას არავითარი შრომა-მეცადინეობა არ გაეწიოს ამ საქმისათვის. როგორც ჰხედავს მკითხველი, თვით-მმართველობის შემოღების შემდეგ გამგეობის მეცადინეობით 1743 მ. 69 კ. ხარჯი შემცირებულია (520+848 მ. 69+120+240+15). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქალაქის მცხოვრებთა კეთილ დღეობისათვის, თუ უმჯობესი არ არის, სულ ერთი მაინც არის, თუ 1743 მ. 69 კ. დაიხარჯება პოლიციის მოხელეების მაგიერ ადგილობრივ მოთხოვნილებათა პირდაპირ დამაკმაყოფილებელ დაწესებულებაზედ.

***) თუმცა ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვაში 1899 წ. ნაჩვენებია 2555 მან. ქალაქის თვით-მმართველობის შესანახად, მაგრამ აქ უნდა ვიქონიოთ მხედველობაში ის, რომ ამ ხარჯში შედის ქალაქის სამკურნალოს (ამბულატორიის) ბინის, განათების, გათბობისა და მოსამსახურის ხარჯი, რომელიც ეკონომიის გამო შეერთებულია, რაკი სამკურნალოც ქალაქის თვით-მმართველობის ბინაშია მოთავსებული; ეს ხარჯი იქნება არა ნაკლებ 300 მანეთისა. სჩანს, თვით-მმართველობაზედ იხარჯება ახალი ხარჯი პოლიციის ხარჯთან შედარებით მხოლოდ 500 მ. (1743 მ. 69 კ. — ეკანომია ძველიდგან). იმ დროს, როდესაც მხოლოდ 3000 მანეთი შემოსდიოდა ქალაქს, მარტოოდენ პოლიციის საჭიროებაზედ იხარჯებოდა 2663 მ. 69 კ. თვით-მმართველობის დროს-კი, როცა შემოსავალმა მახარაძის ანგარიშით მოიმატა 5,507 მანეთი (გამგეობის ანგარიშით — 8,855 მ. 50 კ.) და პოლიციაზედ შემცირდა ხარჯი 1743 მ. 69 კ. ქალაქის დაწესებულება უჯდება მცხოვრებთ არა უმეტეს 500 მანეთისა ახალის ხარჯით. ნუთუ ეს საზარალოა მცხოვრებთათვის?).

*4) ბ-ნ მახარაძის სიტყვით, „ოზურგეთის თვით-მმართველობა თითქმის მთელ ი შემოსავლის ნახევარს თავის თავს ანდომებს, მცხოვრებთა სასარგებლოთ-კი იხარჯება მხოლოდ 26% შემოსავლისა, მაშინ, როდესაც მისივე ანგარიშით თვით-მმართველობაზედ იხარჯება 2442 მანეთი და ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად კი, როგორც სჩანს 1899 წლის ხარჯთ-აღრიცხვიდგან — 3368 მ. [1779+800+260+150+200+179] ამის დასამტკიცებელ საბუთსაც ვგზავნი რედაქციაში). აი, როგორის სინიდისით ეპყრობიან ბ-ნი მახარაძე და ამხ. საქმეს. განა საკვირველია, რომ ციფრების ამგვარად ახსნით ასეთმა ავტორმა 2 მილიონი მუშები გამოსძებნოს საქართველოში?! ამის შემდეგ, მე არ შევეხები ბ-ნ მახარაძის ასერთო მსჯელობას და აზრებს ოზურგეთის თვით-მმართველობის მოქმედების შესახებ: ზემოდ მოყვანილ ცნობებიდგანაც დარწმუნდება მიუდგომელი მკითხველი, თუ რა ზნეობრივის სიფაქიზის მქონე ბრძანებულა ბ-ნი ფ. მახარაძე მწერლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინააღმდეგე წრის კაცი-კი—დამნაშავე, უვიცი, უსინიდისო და სხვ. ყოველგან ერთნაირის აზრით, ერთისა და იმავე განზრახვით, განსაკუთრებულად ამ წრის წევრებისაგან შეთვისებულ რიხიანობით ეხებიან ასეთი კაცები თავიანთ მოპირდაპირე ბანაკის ამა თუ იმ წარმომადგენლის მოქმედებას. რა თქმა უნდა, ასეთს უაზრო მოწინააღმდეგობას არავითარი შედეგი არ მოჰყვება, მაგრამ ისინი იმითაც კმაყოფილი არიან, რომ წმინდა წყალს ამღვრევენ. აქ არ შემიძლიან ერთი ამ შემთხვევის შესაფერი ამბავი არ გავიხსენო: ერთ ჩვენებურ ნიჭიერ პოეტს გაცხარებული სჯა ჰქონდა თავისს ამხანაკთან, რომელსაც მხარს უჭერდა, და თავგადადებით იცავდა ერთი ქარაფშუტა კაცი, ცნობილი თავის „რეტროგრადიულის" აზრით, რომელსაც სახელად პეტრე ეწოდებოდა. როდესაც ვერავითარის საშუალებით ვერ დააჯერა საკამათო აზრში მოპირდაპირე, პოეტმა უთხრა: „შენის აზრის უვარგისობას, სხვა მოსაზრების გარდა, ისიც ამტკიცებს, რომ პეტრე შენკენ არისო"; სწორედ ეს უნდა მოვახსენო მეც „კვალის" რედაქციაში დაბინავებულ ჩემ მუდმივ უსამართლო მოწინააღმდეგეთ. სხვა თავის გასამართლებელი საბუთებიც რომ არა მქონდეს მათ წინააღმდეგ, ისიც საკმარისია, რომ მათკენ არის, მათ აზრებს და მოქმედებას თანაუგრძნობს ცნობილი პალმა და ყველა მისნაირი ჩვენის საერთო საქმეების „კეთილის-მსურველი".

ნიკო თავდგირიძე

# რუსეთი

—

სასულიერო უწყება ამ ჟამად იმ კითხვის შემუშავებას შესდგომია, რომ რუსეთის განაპირა ადგილებში მცხოვრებ მართლ მადიდებლისადმი მოქცეულ უცხო ერთა შვილებისათვის დაბალი სამეურნეო და სახელოსნო სკოლები დააარსოს.

—უწმიდ. სინოდის ობერ-პროკურორს ლაპარაკი აღუძრავს იმის შესახებ, რომ ეკკლესიებისა და საეკკლესიო შენობების დაზღვევება შემოიღონ და დააარსონ სამღვდელოებისათვის ისეთივე კასსა, როგორც სამხედრო უწყებასა აქვს. ამ ორს სამღვდელოებისთვის დიდად საყურადღებო კითხვას, როგორც ფიქრობენ, ოქტომბერსა ან ნოემბერში უთუოდ გარდასწყვეტენ და პირველად შეუდგებიან ეკკლესიებისა და საეკკლესიო შენობების დაზღვევებას, ხოლო შემდეგ კასსის დაარსებასაო.

—გადამდებ სენთა წინააღმდეგ მებრძოლი რუსეთის საზოგადოება აცხადებს, რომ საზოგადოების პრემიას ის მიიღებს, ვინც სიფილისის (ათაშანგის) შესახებ საუკეთესოდ შეადგენს წიგნს, მაგრამ ისე-კი, რომ წიგნი ერთ თაბახზედ მეტს არ შეიცავდესო.

—ამ რამდენისამე ხნის წინად მთავრობის სხვა-და-სხვა დაწესებულებაში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ რკინის გზის მიცვალებულთა ერთის ადგილიდგან მეორეში გადასვენება გაეადვილებინათ. ეს საქმე გარდასაწყვეტად შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭოს გადაეცა, რომელმაც შემდეგი დაადგინა: სანიტარულის მხრივ სასურველი სრულიადაც არ არის, რომ მიცვალებულთა რკინის გზით გადასვენების გახშირებას და გამრავლებას ხელი შეუწყოთ, მით უფრო, რომ არსებულ წესებით იგი შევიწროებული არ არისო.

— როგორც ამ წინაზედ გვქონდა მოხსენებული რუსეთის ცნობილის პუბლიცისტისა და კრიტიკოსის ნიკ. კონსტ. მიხაილოვსკის სალიტერატურო მოღვაწეობას 40 წელიწადი ამ წლის ნოემბერში უსრულდება. საიუბილეო დღესასწაული დანიშნულია 15 ნოემბრისათვის. იუბილიარის პატივისმცემელთ უნდა მიჰმართონ პეტერბურგში ნიკ. ივანეს ძეს კირეევს (Васильев остр., 10 линія, д. № 9) და ლოგინ თევდ. პანტელეევს (Николаев ул., д. № 16).

— კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ბ-ნის იანოვსკის თაოსნობით, საერო განათლების სამინისტრო სახელმწიფო საბჭოს სესხსა სთხოვს, რომ პირველ-დასაწყისს სახალხო სასწავლებლების პროგრამაში სხვა-და-სხვა პროფესიონალური ცოდნა იქმნას შეტანილი.

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** თუმცა ჩინეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პრინცი ტუანი დასჯილი იქმნებაო, მაგრამ, როგორც ეტყობა, ეს მოუსვენარი პრინცი ჯერ კიდევ სრული ბატონი და მბრძანებელია ჩინეთის მოხელეთა. შანხაიში გაუგიათ, რომ პრინც ტუანს შანხაიელ მანდარინებისა და ვაჭართა უფროსებისათვის დეპეშა გაუგზავნია, რომლითაც ატყობინებს, რომ იმპერატორი და იმპერატრიცა ეხლა უშიშარ ადგილას არიანო. ამასთან პრინცი ტუანი არწმუნებს, რომ უეჭველად გავიმარჯვებთ და გავრეკავთ უცხოქვეყნელთაო. როდესაც მდინარე პეიხო გაიყინება,—ნათქვამია დეპეშაში,—უცხო ქვეყნელთა ჯარი პეკინში ზღვას მოწყვეტილი იქმნება, სურსათი შემოაკლდება და ათასნაირი ავადმყოფობა და სენი გაჩნდება იქაო. ჩვენმა ჯარმა უცხო ქვეყნელთა წინააღმდეგ მოქმედება მაშინ უნდა დაიწყოს, როდესაც იან-ძეკიანგში წყალი მოიკლებს და როდესაც ამ მდინარეში მხოლოდ პატარა ნავები და გემები შესძლებენ სიარულსაო. მანამდე კი საჭიროა თოფხანების შეკეთება, ქალაქებისა და ციხეების გამაგრება და სურსათის მომზადებაო. ყველა ამას გარდა მთავრობა, როგორც ამბობენ, ტუანის გავლენით ითხოვს თანამდებობიდგან იმ ვიცე-კოროლებსა და სხვა მოხელეებს, რომელთაც უცხო ქვეყნელთა მხარი უჭირავთ. ამ დღეებში, მაგალითად, დაუთხოვნიათ შანხაი ტუნგის ვიცე-კოროლი, დიდი მომხრე უცხოქვეყნელთა.

— გაზეთები ბევრსა სწერენ სუნიაძენის შესახებ. სუნიაძენი პირველი მეთაურია სამხრეთ ჩინეთის ამბოხებისა, რომელსაც აზრად დინასტიის გადაყენება და რეფორმების შემოღება აქვს: სუნიაძენს განათლება ევროპაში მიუღია და კარგი, გამოცდილი მკურნალია თურმე. ორის წლის წინად ეს მკურნალი ლონდონში გაიქცა, რადგანაც იმპერატრიცამ ჩამოხრჩობა დაუპირა. ლონდონში სხვა-და-სხვა ხრიკებითა და ეშმაკობით შეიტყუეს ჩინელებმა თავიანთ საელჩოში და იქ დაამწყვდიეს, უნდოდათ ჩინეთში გაეგზავნათ, მაგრამ მთელი ინგლისი აღუდგა წინ საელჩოს ამ ძალმომრეობას და სუნიაძენი გაანთავისუფლეს. სუნიაძენი დიდი მეგობარია კან-იუ-ვეისა. დღემდე მკურნალი ინგლისელების მფარველობით სინგაპურში სცხოვრობდა, სადაც ამ რამდენისამე თვის წინად ჩინეთის მთავრობის მიერ დაქირავებულმა მკვლელებმა კინაღამ წუთი-სოფელს გამოასალმეს. როდესაც ევროპიელებსა და ჩინელებს შორის შეტაკება მოხდა, სუნიაძენი სამხრეთ ჩინეთში წავიდა, იქ „სამთა კავშირის" საზოგადოება მოიმხრო და აჯანყება დაიწყო დინასტიის წინააღმდეგ.

—

**გერმანია.** დეპეშებიდგან უკვე იციან მკითხველებმა, რომ გერმანიის იმპერიის ძველი კანცლერი თავადი გოგენლოე სამსახურიდგან გადადგა და იმის ადგილზედ იმპერატორმა გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ბიულოვი დანიშნა. თავადი გოგენლოე ძალიან მოხუცებული კაცია; ამ ჟამად იგი 82 წლისაა. პირველად სახელი მაშინ გაითქვა, როდესაც საფრანგეთში ელჩად დანიშნეს 1870 წელს. როგორც ვიცით, ამ წელს გერმანიასა და საფრანგეთს ომი ჰქონდათ. სწორედ ზავის ჩამოგდების შემდეგ დანიშნეს იგი ელჩად პარიჟში და ამიტომ დიდი სიფრთხილე ჰმართებდა. შემდეგ გოგენლოე ახლად შემოერთებულ ელზას-ლოტრენის უფროსად დანიშნეს, ხოლო აქედგან იმპერატორმა 1894 წელს პირდაპირ კანცლერად გადაიყვანა. ყოფილი კანცლერი მეტად ფრთხილი კაცი იყო და უმთავრესი სამსახური სახელმწიფოს მან სწორედ ამ სიფრთხილით გაუწია. თვით გოგენლოეს არაფრით არ უჩენია თავი, არაფერი საყურადღებო არა დაუწყვია-რა თავისის ნებით, მაგრამ სამაგიეროდ, სხვათა მიერ დაწყებულ საქმეს, განსაკუთრებით იმპერატორის მიერ დაწყებულს, დიდის სიფრთხილით ეკიდებოდა, საზღვარს არ აცდენდა და ამით ბევრი შეცდომა აცილა როგორც თვით იმპერატორს, ისე გერმანიის პოლიტიკოსებს.

რაც შეეხება ახალ კანცლერს გრაფ ბიულოვს, იგი შედარებით ახალგაზდა კაცია; დაიბადა 1749 წელს. 1867—1870 წლებში იგი იურისპრუდენციასა სწავლობდა ლოზანს, ლეიპციგსა და ბერლინში. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს აფიცრად იყო. 1874 წელს გარეშე საქმეთა სამინისტროში შევიდა შემდეგ საელჩოების მდივნად იყო რომსა, პეტერბურგსა, ვენასა და პარიჟში. 1888 წელს ელჩად დანიშნეს ბუხარესტში, 1893 წელს—რომში და ბოლოს გარეშე საქმეთა მინისტრად. როგორც ჰხედავს მკითხველი, ბიულოვს თითქმის მთელი ევროპა აქვს შემოვლილი და ამიტომ ყველა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას კარგად იცნობს. გრაფი ბიულოვი ერთსა და იმავე დროს კანცლერადაც არის, პრუსიის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტად და გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრადაც.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** საკვირველი ამბები ხდება სამხრეთ-აფრიკაში. „დამარცხებული" ბურები უწინდელებრ ერთს წუთს არ აძლევენ მოსვენებას ინგლისელებს: ანადგურებენ ვაგონებს, აქცევენ ლიანდაგს,ართმევენ მტერს სურსათს, ჯარის-კაცებს ჰხოცავენ და სხვა. ყველაზედ საკვირველი ის არის, რომ ორანჟის რესპუბლიკის ბურებმა, რომელთა შესახებ ამდენი ხანი არაფერი ისმოდა და რომელნიც თითქოს დაწყნარდნენ კიდეც, ხელ ახლა მოჰკიდეს ხელი იარაღს. კრონშტადტიდგან იუწყებიან, მაგალითად: „ჰამილტონის ჯარი დღეს მოვიდა აქ ლინდლეიდგან, რომელსაც 4 ოქტომბერს მიანება თავი, რადგანაც ამ ქალაქს ბურები დაეცნენ. ამ შეტაკებაში ინგლისელებს ორი აფიცერი მოუკლეს. ლინდლეიდგან ჰამილტონის ჯარს ბურები ფეხდა ფეხ მისდევდნენ. 8 ოქტომბერს ხელ ახლა მოუხდათ შეტაკება, ბრძოლამ ორი საათი გასტანა. ბურებმა ერთი ჯარის-კაცი მოჰკლეს და მრავალი დასჭრეს". ეს შეტაკებანი ორანჟის რესპუბლიკის შუაგულში მომხდარა, რომელსაც ეხლა ინგლისელები რესპუბლიკის მაგიერ „ორანჟის მდინარის ახალშენს" ეძახიან. ტრანსვაალში კიდევ ინგლისელებმა ვერა და ვერ მოახერხეს დევეტის დამარცხება. აი რას სწერენ ინგლისურ გაზეთებს: „ინგლისელებმა, 23 სექტემბერს გაიგეს რა, რომ დევეტი გეილბრონში მიდის ბურების ერთ სხვა გენერალთან მოსალაპარაკებლად, ყოველი საშუალება იხმარეს ამ მოუსვენარ კაცის დასაჭერად. აუარებელი ჯარი შემოარტყეს გეილბრონს. ცხარე ბრძოლა მოხდა. დევეტმა იერიში მიიტანა ინგლისის ჯარზედ; თუმცა უკუ-აგდეს დევეტი, მაგრამ იმის შეპყრობა მაინც ვერ მოახერხეს, რადგანაც მამაც გენერალმა 2000 კაცით გაარღვია ინგლისელების ჯარი და კლიპპ-რივერისაკენ წავიდა."

— როგორც ინგლისური გაზეთები გადმოგვცემენ, ინგლისელებს გაუნთავისუფლებიათ ელენეს კუნძულზედ დამწყვდეული ტყვენი, უმთავრესად უცხოქვეყნელნი მეომარნი. ტყვენი ევროპაში მიუყვანიათ და იქ გაუნთავისუფლებიათ. ამ ტყვეთა შორის არიან თურმე გრაფი ბრედი, ხუთი ფრანგი, რამდენიმე ნემეცი და ერთი ქართველი თავადი ბაგრატიონი.

## სასამართლოს მატიანე

ივანე აბაშიძისა და სარდალ ჯამბატოვის საქმე.

სამშაბათს, 10 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის სოფელ დილიკაურის მცხოვრების თავ. ივანე დავითის ძის აბაშიძისა და თერგის ოლქის მცხოვრების სარდალ ჯამბატოვის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ შორაპნის მაზრის სოფელ გორისას მცხოვრების ყარამან ო. აბდუშელიშვილის მოკვლის განზრახვა.

1899 წლის 21 მარტს ს. ჭიათურაში რკინის გზის სადგურის ბუფეტში მსხდარან სერგო წერეთელი, სიმონ აბაშიძე და ყარამან აბდუშელიშვილი; ამ დროს პაპიროსის საყიდლად შესულა ვიღაც ჩეჩენი, და როდესაც ბუფეტში პაპიროსი არ აღმოჩენილა, წერეთელს ამოუღია აბაზი და შეუძლევია ჩეჩენისათვის, წაიღეო; ჩეჩენს არ გამოურთმევია, რისთვისაც წერეთელს უთქვამს: „ეს აბაზი თუ არ გინდა, მაშ აქედამ წაეთრიეო". ჩეჩენი წასულა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ თავის ამხანაგ ჯურაბ ჯამბათოვთან ერთად მისულა უკანვე და მოუთხოვნია შეურაცხობისათვის დაკმაყოფილება; ამაზედ შეჰქონდიან ლაპარაკს, რაიცა შემდეგ ჩხუბად გადაქცეულა. ჩხუბის დროს ყარამან აბდუშელიშვილს გაურტყავს ჯურაბ ჯამბათოვისათვის, ამ დროს ბუფეტიდგანვე გამოსულან ივანე აბაშიძე და ძმა ჯურაბისა სარდალ ჯამბათოვი, რომელთაც, როგორც სასამართლოს საქმიდგან სჩანს, ორივეს ზედიზედ უსვრიათ რევოლვერები ყარამან აბდუშელიშვილისათვის და მძიმედ დაუჭრიათ.

პირველად ეს საქმე განუხილავს ქუთაისის ოლქის სასამართლოს, რომელსაც დამნაშავედ უცვნია თავ. ი. დ. აბაშიძე და სარდალ ჯამბათოვი და გარდაუწყვეტია: ჩამოერთვას თავად ივანე აბაშიძეს (23 წლისა) ყოველივე უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს ტობოლის გუბერნიაში საცხოვრებლად, ხოლო სარდალ ჯამბათოვს (26 წლ.) ჩამოერთვას აგრეთვე ყოველი უფლება-უპირატესობანი და გაიგზავნოს პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით. ტფილისის სამოსამართლო პალატამ, 10 ოქტომბერს განიხილა რა საქმე, დამნაშავედ იცნო თავ. აბაშიძე და ჯამბათოვი და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ამ ჟამად პარიჟში სცხოვრობს ერთი მდიდარი ამერიკელის ოჯახი, რომელმაც მთელის პარიჟის ყურადღება მიიქცია. ამ ოჯახმა ერთი სასტუმრო დაიჭირა, რაშიაც დღეში 2000 ფრანკს იხდის. თან ამერიკელს მრავალი ლაქია და მოსამსახურე ჰყავს. მეორე და მესამე დღესვე ამ ოჯახის წევრებმა, განსაკუთრებით მანდილოსნებმა, მდიდარის ეტლით პარიჟის საუკეთესო მაღაზიები შემოიარეს და რამდენისამე მილიონის საქონელი იყიდეს, უფრო იმიტომ, რომ დაენახვებინათ პარიჟელებ სათვის, აი რა მდიდრები ვართო. ერთხელ საღამოს ოჯახმა თეატრში წასვლა მოისურვა. როდესაც ამერიკელის მდივანი თეატრში მივიდა ბილეთის სასყიდლად, აღმოჩნდა, რომ ყველა ბილეთები გაყიდულიყო. რამდენი არ ირბინა მდივანმა, ბილეთი მაინც ვერ იყიდა. მაგრამ დარწმუნებულმა, რომ ფულით ყველაფერი შეიძლება გააკეთოს კაცმაო, სწორედ წარმოდგენის წინ, როდესაც ხალხი უკვე დასხდა, ერთ ლოჟასთან მივიდა და უთხრა იქ მყოფთ, ეს ლოჟა მე დამითმეთო, თან ათას ფრანკიანი ბილეთი ამოიღო და გაუწოდა უფროსს მამაკაცს. ლოჟა მაშინვე გაანთავისუფლეს და გახარებული მდივანი სახლისაკენ გაქანდა.

* * *

ტოკიოში (იაპონიის სატახტო ქალაქია) განუზრახავთ დედათა უნივერსიტეტის დაარსება. ერთ მდიდარ ოჯახს ამისათვის 165 აკრი მიწა შეუწირავს. ბარონებს ივასაკის, მიტსუის და შიბუსავას 130,000 იენი მოუკრებიათ უნივერსიტეტის შენობის მოსაწყობად და ლაბორატორიის გასამართავად. მუშაობას უკვე შესდგომიან და, როგორც ამბობენ, ეს ახალი უნივერსიტეტი მომავალის წლის აპრილისათვის მზად იქმნება.

* * *

შეერთებულ შტატის ქალაქ ლექსინგტონში ერთ მკურნალს ჰიპნოტიზმის შემწეობით ერთი თორმეტის წლის ქალი, გვარად მოდ მალსიოზი, დაუძინებია და შთაუგონებია, მოკვდიო. მკურნალს უნდოდა გამოეცადნა, რა გავლენა ექნებოდა ამ გვარს შთაგონებას. მძინარე ბავშვი შემდეგ კუბოში ჩაუდვიათ და დაუსაფლავებიათ ისე, როგორც ნამდვილ მიცვალებულთ ასაფლავებენ. მესამე დღეს საფლავი გაუთხრიათ, კუბო აუხდიათ და უნახავთ, რომ ბავშვს წყნარად, მშვიდობიანად სძინავს. მკურნალმა რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა თურმე ყურში მძინარეს და მოდი იმ წუთსვე გამოღვიძებულა—სრულიად მთელი და ჯანსაღი ბავშვი კუბოდგან წამომხტარა და მხიარულად ლაპარაკი დაუწყვია. ბავშვს არაფერი არ ახსოვდა თურმე.

* * *

ამერიკული გაზეთები შემდეგს სასაცილო ამბავს გადმოგვცემენ. ნიუ-იორკის ერთ დიდ სამკერვალოს მკერავ-ქალებს პირი შეუკრავთ და მუშაობაზედ ხელი აუღიათ. სულ 800 ქალი ყოფილა. პოლიციას, წინა დღესვე გაუგია რა, რომ მკერავი ქალები რაღაცას აპირობენო, პოლიციელნი გაუგზავნია, რომელნიც წესიერების აღსადგენად ქარხნის ალაყაფის კარებთან გაჰწკრივებულან. რო-

დესაც მუშაობაზედ ხელი აუღიათ, რამდენსამე ქალსა და პოლიციელებს გარეთ, ქუჩაში, ჩხუბი მოსვლიათ, რისთვისაც პოლიციას ორი ქალი დაუპატიმრებია. ამ ამბის გაგებისათანავე დანარჩენ ქალებს მიტინგი გაუმართავთ, რომელზედაც ერთხმად გადაუწყვეტიათ სამ გიერო გადაუხადონ პოლიციელებს. შეთქმულნი შინ წასულან და „შეიარაღებულან". ყველას თან უზარმაზარი შლიაპის დასამაგრებელი შპილკა აუღია. ქალებს, ამ ახალის საომარ იარაღით ხელში დარაზმულთ, მედგრათ იერიში მიუტანიათ პოლიციელებზედ. ბრძოლამ დიდ ხანს არ გასტანა თურმე, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბრძოლა სასტიკი და სისხლის მღვრელი ყოფილა. პოლიციელთ, რომელთაც ქალების ცემის ნება არა ჰქონდათ, მალე ისე აირ-დაირივნენ, რომ უკუ-ქცეულთ აღარ იცოდნენ, სად დამალულიყვნენ. მუნდირებ ჩამოფხრეწილ-ჩამოგლეჯილი პოლიციელნი ტყვია ნაკრავსავით გარბოდნენ. მაგრამ მამაცმა ქალებმა დიდხანს არ მიანებეს თურმე თავი: თავიანთის სადგისებით უკან მისდევდნენ დამარცხებულ მტერს და ერთმანეთის გასამხნევებლად გაძახოდნენ: „დაჰკა მაგასო"! ბევრი პოლიციელი გარბოდა თურმე დასისხლიანებული ბრძოლის ველიდგან. ამის შემდეგ პოლიციას ველარ გაუბედნია თავზედ ხელ აღებულ ქალებთან შებმა და მშვიდობიან მოლაპარაკებით შესდგომია საქმის მოწყობას.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ოქტომბერი

**ლონდონი.** „Daily Telegraph" ამბობს, რომ ინგლის-გერმანიის შეთანხმება სალისბიურის ერთი უდიდეს გამარჯვებათაგანიაო.

„Standard" ამბობს, რომ ახალი შეთანხმება მარტო ჩინეთის საქმით არ განისაზღვრებაო.

**პეკინი.** გერმანიის ელჩი მუმმი ჩამოვიდა.

**პარიჟი.** ლიხუნგ-ჩანგმა დაავალა პარიჟში მყოფს ჩინეთის ელჩს აცნობოს დელკასეს, რომ პიშონი ავად არის და ითხოვს სხვა რწმუნებული იყოს მის მაგიერად დანიშნული. მაგრამ რადგანაც დელკასემ იმავე დროს პიშონის დეპეშაც მიიღო, რომელშიაც ავადმყოფობის შესახებ არა იყო რა, დელკასემ ლიხუნგ-ჩანგის ცნობას ეჭვის თვალით შეჰხედა და პიშონს ჩაეკითხა ამ საგნის შესახებ. მინისტრთა საბჭო პასუხს ელის. დელკასემ განაცხადა, რომ პეკინში მყოფი უცხო სახელმწიფოთა ელჩები საფრანგეთის წინადადებას თანაგრძნობით შეეგებნენო.

**სოფია.** გამოქვეყნებულია ბრძანება, რომლითაც საერო კრებას 15 ოქტომბრისათვის იწვევენ.

**ვენა.** იუწყებიან, რომ რადგანაც აქამდე სახელმწიფონი ასე იქცევიან ინგლის გერმანიის შეთანხმების შესახებ, უნდა ვიფიქროთ, რომ მალე ყველა ამ შეთანხმების პრინციპებს შეუერთდებაო.

**ვაშინგტონი.** სტატს-სეკრეტარმა გეიმ დეპეშით აცნობა კონჯერს, რომ ამან ცუნგ ლი-იამენის გაუქმება და გარეშე საქმეთა მინისტრის დანიშვნა მოითხოვოს, რომელმაც ერთ-ერთი ევროპიული ენა მაინც არის უნდა იცოდესო.

---

**სასამართლოს ცნობები.**

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ქყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაულსი ჩადენა ჰბრალდებათ.

17 ოქტომბერს:

ვლადიმერ ახალშენიშვილისა, რომელსაც მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ლუკა ტაბატაძისა—ქურდობის ჩადენა ბრალდება.

ივანე, გიორგი და რაჟდენ ჩიგოშვილებისა—ქურდობის ჩადენა ბრალდებათ.

ანნა თავდგირიძისა, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

19 ოქტომბერს:

ვარლამ ლოლუასი, რომელსაც სიყალბის ჩადენა ბრალდება.

ილარიონ გოგიაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვის ჩადენა ბრალდება.

ამილბარ თომაშვილისა—სააქციზო წესის დარღვევა ბრალდება.

ნიკოლოზ მგელაძისა, რომელსაც განზრახ თავის სახლის დაწვა ბრალდება.

გიორგი მდივნისა, ლიდია მაჭავარიანისა, ალექსანდრე კიკნაძისა და მალაქია და ივანე ჭანტურიძეებისა, რომელთაც სიყალბის ჩადენა ბრალდებათ.

24 ოქტომბერს:

ირაკლი მგელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-165 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

დავით მესხისა, რომელსაც მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

---

# განცხადებანი


## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ იგი **იჯარით აძლევს ქალაქის ოთხს დუქანს,** რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩის ბოლოში, ალექსანდრეს ბაღში შესულ ოთხ-კუთხედზედ. ამ დუქნების იჯარით აღების მსურველს პირობათა შეტყობა შეუძლიან ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—6.—3)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური ბორნო-ცეიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმაროთ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—26)

ქუთაისში

სავაჭრო სახლი

**„ი. გოკიელოვის შვილები"**

რადგანაც წელს **მოსწავლეთათვის რვეულებს ვამზადებთ ქუთაისშივე** და შეზღუდვა ნაკლებ ფასად გვიჯდება, ამიტომაც **გავაუმჯობესეთ ხარისხი რვეულის ქაღალდისა,** რომლის მიუხედავად ფასი იგივეა. მსურველთ შეუძლიანთ შეკვეთა ყოველგვარის ხაზებისა და გვერდების უკლებლივ ყოველნაირი რვეულები. (10—164—10)



როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წერილ-წერილად გადახდით.

ჰრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

გ. მ. მირიმანიანისა

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО
М. МИРИМАНЯНА

Тифлисъ. Дворцовая ул. (24—5.—3)


კვირას, 15 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზე, მოხდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა

**საზოგადო კრება**

კრების საგნები:

1, ანგარიში საზოგადოების წარსული წლის მოქმედებისა,

2, ანგარიში სარევიზიო კომისიისა,

3, გამგეობის მოხსენება ქართული თეატრის შენობის იჯარით აღების შესახებ,

4, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა,

5, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—2)


**კბილის ექიმი**

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

„ახალი სასადილო

**„ქუთაისი"**

გაიხსნა ტფილისში სოლოლაკის ქუჩაზედ, (უწინდელი ტალახის ქუჩა), № 4 ცურინოვის პასსაჟის გვერდზედ.

მზადდება სუფთად ყოველგვარი ევროპიული და იმერული საჭმლები (ხარჩო, ღომი, საცივი, სულგუნი და სხვა) და იყიდება იაფად. ვინც თვიურად დაიჭერს, იმას ნაკლებ ფასად დაუთმობს.

სასტუმროს პატრონი **კ. დანელია** (3—199—3)

# სამკერვალო

ქალთა ტანისამოსის.

გთხოვთ ქალთა ტანისამოსის შესაკერავად



ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.



ვიღებთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს კრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელ-საქმისას.

ტფილისი ვ. გოთრის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

კრა-კერვის და ხელ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანნა მერკვილაძისა.** (10—178—4

გამოვიდა და იყიდება მმ. თავართქილაძეების ახლად გამოცემული

ფასი **ჩანგი** მანეთი

ამ უკანასკნელ გამოცემაში ჩამატებულია ლექსები, სცენები და შემდეგი დრამატიული თხზულებანი: 1) „დედა და შვილი", ი. ჭავჭავაძისა; 2) „დამა", ვ. გუნიასი; 3) „ჯერ დაიხოცენ, მერე დაქორწინდენ". 4) „დაკეტილ კარებთან". 5) „ავადმყოფი", მოლიერისა და „შეშლილის წერილები", გოგოლისამ.

აგრეთვე მივიღეთ ყველა ჩვენ მაღაზიებში დიდძალი ყოველგვარი

**რვეულები**

საუკეთესო ღირსებისა და განსხვავებული ფერის (თვალისთვის დიდად სასარგებლო) ქაღალდებზე დახაზული და მიუხედავად ქაღალდის გაძვირებისა და მისის ღირსებისა, ჩვენ ვყიდით 100 ცალს თავისის საშრობი ქაღალდით, მხოლოდ 2 მან. 50 კაპ.

მსურველთ ნიმუშები გაეგზავნებათ უფასოდ. (10—6.—6)

# სასწავლებელი და პანსიონი ა. ტერ-აკოფოვისა

შესდგება ერთის მოსამზადებელ და ოთხის გიმნაზიურ და რეალურ კლასებისაგან, რომელნიც პროგრამით მთავრობის გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების იმავე კლასების პროგრამებს უდრის.

ამზადებს მოსწავლეებს გიმნაზიებისა, რეალურ სასწავლებლებისა, კადეტის კორპუსებისა, იუნკრის სასწავლებლებისა და სხ. სასწავლებლებში.

**სკოლაში ასწავლიან აგრეთვე მუსიკას, ცეკვას, ხატვას,** ქართულ ენას განსაკუთრებით მასწავლებელი ასწავლის უსასყიდლოდ.

ადრესი: განთიეს ქუჩა, № 11, (ვაკის მესამე გიმნაზიის მახლობლად). (4—191—4)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 11-го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე